

ვერსია 1.0

30 მარ 2017



Batumi International Container Terminal LLC

An ICTSI Group Company

აუქციონის სისტემა

სისტემით სარგებლობის ინსტრუქცია

ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი

11 ბაქოს ქუჩა, ბათუმი 6010 საქართველო


აუქციონის სისტემა

სარჩევი

სისტემური მოდულის გვერდი.....	2
რეგისტრაცია აუქციონის სისტემაში.....	3
სარეგისტრაციო ფორმა.....	3
ანგარიშის ვერიფიკაცია.....	6
ავტორიზაცია აუქციონის სისტემაში.....	8

სისტემური მოდულის გვერდი


აუქციონის სისტემაში შესასვლელად მთავარ გვერდზე დააჭირეთ ლილაკს **აუქციონი და ტენდერი** [სურ. 1]



სურ. 1

რეგისტრაცია აუქციონის სისტემაში

აუქციონის სისტემაში ავტორიზაციამდე, დაინტერესებულმა მხარემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია [სურ. 2]. სისტემის რეგულაციებიდან გამომდინარე, აუქციონის სისტემაში რეგისტრაციის უფლება აქვთ როგორც ორგანიზაციებს, ასევე ფიზიკურ პირებს ან ინდივიდუალურ მენარმეებს. რეგისტრაციის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და სულად მოქმედი ანგარიშის შექმნამდე საჭიროებს ვერიფიკაციას.



სურ. 2

სარეგისტრაციო ფორმა

სარეგისტრაციო ფორმაზე გადასასვლელად დააჭირეთ ლილაკს რეგისტრაცია და შეავსეთ ფორმა. [სურ. 4]

ფორმის შევსება ხდება შემდეგნაირად:

- **მომხმარებლის სახელი (Username)** - ლათინური სიმბოლოებისა და ვიფრებისაგან შემდგარი კომბინაცია რეგისტრაციის სურვილის მიხედვით, რომელიც გამოიყენება ავტორიზაციისათვის. მომხმარებლის სახელი უნიკალურია და არ შეიძლება სხვა მომხმარებლის სახლზე დამთხვევა

აუქციონის სისტემა

- **პაროლი (Password)** - ნებისმიერი სიმბოლოების კომბინაცია მინიმალური 6 სიმბოლოიანი შეზღუდვით.
- **პაროლის დადასტურება (Confirm Password)** - პაროლის გამეორება შეცდომის თავიდან აცილების მიზნით.
- **ელ-ფოსტა (Email)** - ერთ-ერთი საკონტაქტო საშუალება. ელექტრონული ფოსტის მისამართზე რეგისტრაციის ეგზავნება ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერების შესახებ ან შეცვობინება ვერიფიკაციის შესახებ
- **ტელეფონის ნომერი (Phone)** - გამოიყენება მომხმარებელთან დასაკავშირებლად და არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა მომხმარებლებისათვის
- **კომპანიის დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი** მომხმარებლის ციპის მიხედვით
- **მისამართი** - იურიდიული მისამართი
- **რეგისტრაციის ნომერი ან პირადი ნომერი** მომხმარებლის ციპის მიხედვით
- **კატეგორიები** - თემატური ჯგუფები, რომლის მიხედვითაც ცხადდება აუქციონი. რეგისტრაციის აქვს უფლება, აირჩიოს ჩამონათვალისა და ნებისმიერი 2 კატეგორია.
- **წესებისა და პირობების გაცნობა / კონფირმაცია** - ბმული წესებსა და პირობებზე, რომელზე დაჭერით იხსნება PDF დოკუმენტი. გაცნობის შემდეგ რეგისტრაციის პირველი ეტაპის დასასრულებლად, რეგისტრანტი ვალდებულია, დაადასტუროს წესების გაცნობა და თანხმობა Checkbox (თოლია) ველის მონიშვნით. [სურ. 3]

ვეთანხმები აუქციონით სარგებლობის წესებსა და პირობებს

რეგისტრაცია

სურ. 3



რეგისტრაცია აუქციონის სისტემაში

აუქციონის სისტემაში რეგისტრაცია შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს ასევე ორგანიზაციებს.

მომხმარებლის სახელი	<input type="text" value="ლათინური სიმბოლოები"/>
პაროლი	<input type="password" value="* მინ. 6 სიმბოლო"/>
გაიმეორეთ პაროლი	<input type="password" value="* გაიმეორეთ პაროლი"/>
ელფოსტა	<input type="text" value="example@example.com"/>
ტელეფონის ნომერი	<input type="text" value="☎ ფორმატი: 555 12-34-56"/>
მომხმარებლის ტიპი	<input type="text" value="ფიზიკური პირი"/>
პირადი ნომერი	<input type="text" value=" მხოლოდ ციფრები"/>
სახელი გვარი	<input type="text" value="👤 როგორც პირადობის მონმობაში"/>
მისამართი	<input type="text" value="📍 მიუთითეთ ქალაქიც"/>

- აუქციონის კატეგორია ამორტიზებული ტექნიკა
შეგიძლიათ აირჩიოთ მაქსიმუმ 2 კატეგორია მეორადი ხელსაწყოები
 შერქმული რესურსები
 ლითონის ნაკეთობები
 მეორადი ლეიბები-ტრუმბლები-ზამბარები
 მეორადი საბურავები
 მეორადი ავტომობილები და მათი დეტალები

ვეთანხმები აუქციონით სარგებლობის წესებსა და პირობებს

სურ. 4

ანგარიშის ვერიფიკაცია

რეგისტრაციის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, რეგისტრანტს ექმნება ნედლი ანგარიში, რომელიც საჭიროებს ვერიფიკაციას [სურ 5].



მთავარი სერვისები აღჭურვილობა კრემსენტი კონტაქტი

ქართული ENGLISH



რეგისტრაცია აუქციონის სისტემაში

აუქციონის სისტემაში რეგისტრაცია შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს ასევე ორგანიზაციებს.




ანგარიშის ვერიფიკაცია

გილოცავთ, თქვენ წარმატებით დაასრულეთ აუქციონის სისტემაში რეგისტრაცია. აუქციონის ადმინისტრაცია განიხილავს რეგისტრაციის მოთხოვნას და დადასტურების შემდგომ თქვენ შეძლებთ აუქციონში მონაწილეობას. დადასტურების შემთხვევაში შეცდომინებას მიიღებთ

ელფოსტაზე: [\[redacted\]](#)

სურ. 5


ვერიფიკაცია ხდება ადმინისტრატორის მიერ სარეგისტრაციო მოთხოვნის განხილვის შემდეგ: ადმინისტრატორი განიხილავს მოთხოვნას და დასდურის შემთხვევაში მომხმარებელი იღებს შეცდომინებას რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტაზე. [სურ. 6]



სურ. 6

ავტორიზაცია აუქციონის სისტემაში

აუქციონის შესახებ შეცვობინების მოსვლის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია გაიაროს ავტორიზაცია აუქციონის სისტემაში. აუქციონის გვერდზე ავტორიზაციის ველში ჩაწერეთ რეგისტრაციისას მითითებული მომხმარებლის სახელი და პაროლი და დააჭირეთ ღილაკს **ავტორიზაცია** [სურ. 7]



სურ. 7